

მათრახი

№ 23 იუმორისტ. ჟურნალი

„მათრახი“ გამოდის კვირაში ერთხელ. წლიურად ღირს გაგზავნით 2—50. ნახევარი წლით 1—50. წერილები და ფული გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Тифлиზь, Типография „Шрома“, Теофили Волквалдзе.

იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ჟურნალი არ მიდის, მსურველთა გაგზავნება გასასყიდად ფოსტით რამდენსაც მოითხოვს. თითო ცალი დაეთმობა 31/2 კაპეიკით. ფულის გამოგზავნა წინ და წინ არის საჭირო.

6 476



„ნობათი“ ბაქოელ გაფიცულ მუშებს „მათრახის“ რედაქციის მიერ წარგზავნილი.

ბაქოსკამე

ბაქოსკენ უნდა წავიდეთ მთელი არმია ჯარითა, მუშები გაფიცულანო გულზე გამხეთქეს ჯაერითა...

წავალ და ყველას დავცოცხებ ჩემის მათრახის ტარითა, მრეწველნი დამაჯილდოებს ურიცხვი საჩუქარითა.

ცხოვრებას გამოვიბრუნებ, ჯიბეს გავიშვებ ფართითა, მეგობრებს წავაქეფებ— მოვილხენ ზურნა-თარითა. დაესტკებები „მამულიშვილთა“ ნახვით და საუბარითა, მამებიც არ მომაკლდენ ლიცვა-კურთხევისა ჯვარითა.

განა მე კუჭი არა მაქვს როგორც სხვა რენეგატებსა?! თუ კი მუდამ აქვთ საყენკი ზოგ-ზოგ უტყინო ბატებსა, მეც იმათ გვერდში დავდგები ზურგს ვაქცევ ძველსა ხატებსა! (სინდისი თუ არ მექნება სახრავი მოიმატებსა).

შტრეიკებეზერებ მუშებსა მოვნახავ ყოველ მხარესა და პატიოსან შრომელებს დღეს გაუთენებ მწარესა, მტრისა ბანაკში გადავალ ვილოცავ იმათ მთვარესა, ჩემსა ძველ ამხანაგებსა დავტიებ მგლოვიარესა!

ბაქოსკენ მივალ, ბაქოსკენ მუშების გასასრესათა, კაპიტალისტთა ურჩებსა მადას შეუცვლი კვნესათა, რწმენას გავყიდი ქანქარაში ღვარძლისა დასათესათა! (ამით სახელსაც მოვიხვეჭ, ეხლა აგრეა წესათა!)

მათრახოსანი.



ი დ ე მ ს .

ედემო, ყველგან შენი მშენება, შენი სახელი არის განთქმული, შენსკენ მოვილტვი, შენს ნახვას ველი და შენთვის მიძგერს მე მუდამ გული.

როდის იქნება იხილონ თვალთა, შენი წალოკოტი და მყუდროება, იქ სად არ არის კაცთ ბოროტება, არის სიმშვიდე და სათნოება.

იქ სად არ არის ძმათა გაყვლეფა, სად ვერ ბოგინობს ბოროტი სული, სად ტახტი უდგა ძმობას, სიყვარულს და აღარ კენესის მოძმე ჩაგრული.

იქ სადაც ხალხი თანასწორია და ძმათა შორის სიყვარულია, იქ სად ამაყად ქეშმარიტების უძლეველი დროშა ამართულია!

ედემო, ყველგან შენი მშენება, შენი სახელი არის გათქმული შენსკენ მოვილტვი, შენს ნახვას ველი და შენთვის მიძგერს მე მუდამ გული.

გოგია.

კრიტიკული შენიშვნები.

(გაგრძელება. იხ. „მათახნი“ № 22)

III

წინა წერილში ჩვენ აღვძარით ფრიად დიდი საკითხი: „საქმილთ განტენილი კუჭი და ის დიადი ცვილილება, რომელსაც ასეთი კუჭი ახდენს კერძოდ პოეტების და საზოგადოთ ადამიანთა ცხოვრებაზე“. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა საკითხი მართლაც რომ ძლიერ რთული, ღრმა და მრავალ მნიშვნელოვანია, ამიტომ ასეთი კითხვის გადასაწყვეტად დიდი ნიჭი და გამოცდილება არის საჭირო და თუ მე ვერ შევხდელი მისი ყოველ მხრით გაშუქება, იმედია მკითხველი საზოგადოება არ იწყენს. თითქოს ერთის შეხედვით „კუჭი“ უბრალო რამე საგანი არის, ის აქვს ყველას, მისი დანიშნულებაა შიგ ჩაგზავნილი საქმელი დაფუძვას და მთელ სხეულში დაანაწილოს. მაგრამ თუ მას შევხედავთ ღრმა ფილოსოფიურ თვალსაზრისით, გამოვიკვლევთ მის საზოგადოებრივ—პოლიტიკურ—ნაციონალურ მნიშვნელობას, იალათ გავიგებთ რომ კუჭი არა

უბრალო რამე ნიკოია, როგორც ჩვენ გვეგონა. მას ფრიად დიდი გავლენა აქვს როგორც რწმენაზე, ისე მთელ გრძნობა-გონებაზე, მის გავლენას განიცდიან არა მარტო პოეტები, ფილოსოფოსები, კრიტიკოსები, ლექტორები, პუბლიცისტები, დრამატურგები, ბელეტრისტები და ყველა ისინი, რომლებიც საზოგადო საქმეში ერევიან. ამ მხრით მეტის-მეტად გავლენიანი ვახლავთ „საზღვარ გარეთ გაგზავნილი კუჭი“. კუჭი რომელიც საქართველოს საზღვრებს გასცდება საზღვარ-გარეთ გავა და იქ რამდენიმე ხანს დაჰყოფს, ერთის დაკვრით დიად ცვილილებას ახდენს ძალიან მაგარ და ღრმა რწმენით გამსჭვალულ ადამიანზედაც კი. ავიღოთ მაგალითისთვის „კუჭი“ ფილოსოფოსისა, რომელიც საზღვარ-გარეთ წავიდა და იქ კარგა ხანს იღო. ამ კუჭის გავლენა გასაშტერებელია. ფილოსოფოსის ორგანიზმი მან სრულიად გამოსცვალა, მის ფილოსოფიურ თავში დიდი არე-დარევა მოახდინა, ფრიად განვითარებულ, ნიჭიერ, მაგარი რწმენის ადამიანის მაგიერ, უბრალო ვაჟარი დაუბრუნა სამშობლოს. დიხსაც რომ ეს დიდი დანაკლისია ჩვენთვის, მით უმეტეს რომ ეს „ფილოსოფოსი კუჭი“ დღესაც აღარ ისვენებს და ნელ-ნელა მიათრევს თავის პატრონს, მას უნდა ის მაღაზიის კარებს აღარ გასცდეს და საზოგადო ასპარეზიდან სრულიად გავიდეს.

ავიღოთ ეხლა „კუჭი კრიტიკოსი“ ბელგიაში მდებარე. თუმცა პატრონი ამა კუჭისა არც სამშობლოში ყოფილა გარკვეული მიმართულების ადამიანი, ხშირად ცვალებდობას განიცდიდა, მაგრამ გასცდა თუ არა კავკასიის საზღვრებს კუჭმა თავისი ქნა. „კრიტიკოსი კუჭი“ თავის პატრონის პირით ბელგიიდან უფშერ ლანძღვა-გინებას გზავნის საქართველოში, ლანძღავს „სამშობლოს მოღალატეებს“. ძლიერი ლანძღვა-გინება მაშინ წარმოიგზავნება, როცა საქარაველოდან ქანქარი მიდის და კუჭი მოლონიერდება.

ასეთივე გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის ჰავამ იქ გასულ რამდენიმე „კუჭზე“.

მაგრამ ამ ბოლოს გამოირკვა, რომ მარტო საზღვარ-გარეთ არ ხდება ასეთი აზნები. შესაძლებელია კავკასიის საზღვრებიდან გავიდეს კუჭი, რუსეთის რამდენიმე ქალაქში შეიაროს და სრულიად გაავიწყოს პატრონი. მაგალითისთვის ავიღოთ ბ-ნი „კუჭი - თვედორე“, რომელმაც ინახულა ბაქო, მოსკოვი და პეტერბურგი, ეხლახან დაბრუნდა სამშობლოში და მედგრად შეუდგა ქართველთა ერის აღორძინებას.

ამგვარად ზემოდ მოყვანილ მაგალითებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ ფილოსოფოს-კრიტიკოს-ლექტორების „კუჭი“ მხოლოდ მაშინ ახდენს გავლენას, როცა ის საქართველოდან გადის. სულ სხვაა „კუჭი“ პოეტისა და კუჭი ბელეტრისტისა. მათთვის სრულიად საჭირო არ არის საქართველოდან დაძვრა. ის აქვე ახდენს იმ ცვილილებას, რომელსაც ფილოსოფოს-კრიტიკოსები საზღვარ-გარედ განიცდიან.

ავიღოთ „კუჭი“ პოეტისა, რომელიც დრო და გარემოების წყალობით უსამართლობის გამო მისუსტებულია და საქმარისად ვერ არის გატენილი. ასეთ მდგომარეობაში ის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს თავის პატრონის თავზე. ამ თავში მრავალი კარგი აზრები ირევიან. მთელი ორგანიზმი გარკვეულ მიმართულებას ადგია და რომავლის იმედებით გატაცებული იმეჯის ცეცხლს აკვებს თავის ლექსებით ჩაგრულთა გულში.

გადის დრო „კუჭი“ თფილისის სათავად-აზნაურო ბანკში ჯდება, იქაური დახშული ჰაერი, ყოფილი მაზრის უფროსები, ბოქაულები, „სტრანინიკები“ და ყოფილი სოციალისტები მაზე გავლენას ახდენენ, კუჭი თან-და-თან იტენება და ითრევს ორგანიზმს რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერი შეცვლილია, პოეტური ჩანგი სულ სხვა გვარად კრიმანჭულობს.

ი ის ღრმა აზრი, რომელიც ჩამარხულია პროვინციელ პოეტ რეალისტ ბურხლადის ლექსში.

(შემდეგი იქნება)

ირეთელი.

გურული სცენა

I

ქალის გათხოვება.

გადამკიდებია ბატონო ჩემი ცოლი და მეჩხუბება. გინდა თუ არა ქალი ამ ხსნილში უნდა გაათხოვო. რა ეშმაკით და ქაჯით გაათხოეო იმას კი არ კითხულობს. გლახას ვერ მივსცემ და თუ ვინმე ხეირიანია და ქალის შენახვა შეუძლია. იმას ამისთანა „ტაკცია“ დოუდვია; ოც-დაათი თუმანი ფული, ამდენი კიდომ გვზითი უნდა მომცე, თვარა ისე შენს ქალს არ შევირთაო. კაი და პატროსანი მარა სადაა აი ოცდაათი თუმანი ნეტაი? სახლ-კარიან-ძროხიანა, რომ გაეყიდო ყორიფელი ოცდაათ თუმანს მაინც არა კაცი არ მომცემს რა ვქნა სეით წვეიდე, რომ არ ვიცი? არა ბიძია არა, მაგ კეკუთ არც მიარია და არც ვიარ, მეც-კი შევირთე ცოლი, მარა ოცდაათი თუმანი არე კაცს არ მოუცია ჩემდა. თუ ვინმეს უნდა ქე წვეიცანოს ისე თუ არა და ჩემი ბალანე ქე იყოს ჩემს სახლში, ერთ ლუქმა ქადს კი ვაქუმ თუ არ მოკვდი. ვიტოვია გლახას დოუპრაწავს თვალეები და ჩივა: „ჟოჩ თუმან ნაკლებ ჩოლმ არ შევირთავო“. ოცჯერ დაგლახდა მისი თავი, იმან პირ აქეთ, რომ მომცეს ფული, მაინც არ ჩამოუშობ ეზოში. ანდა რათ უნდა ამისთანა გლახას ცოლი, ვოცდაათიგზომა შეუქამა ძაღლმა ყანაში სადილი. იმ დღეს ბატონო ათი წლის ყაზირალს მუშტყუებია. დაეკავებია თოფი ხელში და ვითამ ნადირობს მისი კეკუთ. დეინახა თურმე ბალანამ და დოუძახა: გიტოვი! არიქა აგერ წისქვილის წყალში იხეებია, მოდი და მოკალიო. მივბარა თურმე აგი ჩვენი მონადირე უსროლა თოფი და ზედ ააქარფალა

საწყალი ფოტინეს სამი იხვი. კაცმა შინაური და გარეული იხვი ვერ იცნოს? მოდი და მიეცი ახლა ამისთანა კაცს ქალი.

რ. ჯიბილ.

II

ცუდი წელიწადი.

დამიცვას ღმერთმა რაფერი კვიმატი წელიწადია, წროულს ქუთაისლებმა ოზურგეთის ნაჩაღნიკი ზე აგვატლიკეს. აქედან მუღუშა და მუშა ყოველ დღე თხრიშანაი, ყანები სანახევროდ ძირყულამ აგვიცუქა და რომელიცხაი დაგვრჩა ტყულისათი თოხი არ ჩაგვიტანია. ისე მოიჯელთა ისე რომე ბედაური ვერ გაატანს შით. ჩვენდა ხომ რაცხა არის არის და ყველაზე საბრძნელი წელიწადი ხუცებია. ჯერე და ფოთელ დეკანოზს არ წააღა ლავრენტის ქომავობა, ხულიგანი ესიკაის და საჩინოის ხელმოსაწერათ შუქა-შუქა დრიგინი, მაინც სდრინგეს პალური და ჰაი და ჰა. მახარაძეს ნახუტურში უბიძგეს. იქაური თვალქაქუნა გაშტიქინებული ხუცესი იქით მიაქეცელეს, მარა აგი კილო აფერი. კაქაძე ხუცეს არესტანტი როტა და გითი. ჩხაიძე ხუცეს თავის გათორთქოლება. ვინცხა გადაღმართელს კილო კატორლა, კილო ვინცხა აკეთელ ხუცეს ქალმა მუხატა თურმე ზურგზე და ალა მტვერი აადინა და მე რა ვიცი ასი რაცხა.

ღმერთო მშვიდობით აცოცხლე დანარჩენებიც, მარა რაცხა ისე უშუა ქვეყანას ფარცავი არ ჩამოგვიარს მგონია.

შხანკოლა.

რასაც მოგითხოვთ უქვევლია. (ფიშღინი დიდი-ჯიხიშღებს.) როს ნახოთ ხალხში მღვდელი ჩამდგარი ხელ-აშვერილი სიტყვის მთქმელია არც დაფიქრდებით ისე გაიგებთ სამსონ იქნება უქვევლია. ნახოთ ქუჩაში კაკარდოსანი ბაგეთგან თვისთა ცეცხლის მყრელია,

არ შეგეშინოთ თქვენ ამ დევე-გმირის, დავით იქნება უქვევლია!

აგერ დუქნის წინ ქალარა რომ სდგას

ფვიქრობ ეს არის ქვეყნის მხსნელია... ფუი მაკდურსა! კინაღამ შეეცდი, მანუჩარია უქვევლია!

თუ ნახოთ ბანკში კრება ბელადთა, რომლებიც კარგის დამგმობელია, არ შეგეფიქროთ, დარწმუნდით რომა სამნივ იქნება უქვევლია!

ერთი მღვდლის აზრებს ვილაც ქაღაგებს, სახალხო სახლი ხალხის მრყენელია, ვინ უნდა იყოს? თქვენ როგორ ფიქკობრეძეა უქვევლია! რობთ?

ესენი ჯიბეს უფრო უცქერენ, ხალხს ტყავს აძრობენ უქვევლია, დროზე მიხედეთ, ხალხნო, სამთავეს ესენი თქვენი დამღუპველია.

აგერ ქსენონში, კარს უკან რომ სდგას,

რას უღარაჯებს, რისა მქნელია? ნუ თუ გაღლეტილ და მატყუარა

ეს, კომიტეტის არის წევრია!? სასიჯო ოთახში ქალს უქვევრიტინებს,

აბა ვნახოო, თუ შიშველია... რომელი იცნობთ? ვინ უნდა იყოს?

ერისტო არის უქვევლია! აგერ ხალხში დგას ვილაც თეთრ-წვერა,

კომიტეტს აქებს, ეს რომელია? ერისტოს მამა, კინაღამ დამრჩა, ივლიანა უქვევლია!

მღვდელ-გერასიმეც მათი მონაა, შიშობს არ შეხედეს მას სასჯელია... რომ მათ სურვილზე მალაყს გადადის, დღეს ჩვენთვის ესეც უქვევლია!

№ 101.

ძღვნად ზოგადიერო ნოქრამბს.

(თბილისისათვის).

მინდა ზოგიერთ ნოქრებსა რომ უთხრა საყვედურია, თავისი შეუფხვლობით არიან უბედურია.

სულიერ საზრდოს არ სწყალობს რა შეედრება ღვინოსა? როცა ჯამეგირს აიღებს, მუდამ საღამოს ღვინობსა.

მეტია მათთვის თეატრი,
ლექცია, ვაზეთებიო,
ქიდაობას, რომ შესტრფიან
ბევრია ასეთებიო.

კანონი აძლევს ორ საათს
პურის საჭმელად დროსაო,
ან ჭამოს, ან დაისვენოს,
თუ უნდა იძინოსაო.

ორი საათის მაგივრად
მხოლოდ ოც წუთსა კმარობენ,
რომ აღას გული მოუვონ
ასეთ ხრიკებსა ხმარობენ.

ხაზინებსაც ეს უნდათ
არ იწუხებენ თავსაო,
ყურ-მოჭრილ-მონა ნოქრებსა
ზურგზე აძრობენ ტყავსაო.

ზენათობა.



ორი ეშმაკი.

პირ. ეშმაკი.

(ძღაერ კანრისხეხუჯი შეაჩერებს შეორჯს)

გავისკდა თავი
დაგმვა მებო,
ამოგძვრა სული
გაქიმე ფეხი.
სად დაიკარგე?
რათ მომიძულე
ამდენი ხანი
არ მინახულე?

მეორე ეშმაკი. (ისიღ კაბრაზებუჯი)

რას იწყევლები
შე უხვირო,
ცხვირ მონგრეულო,
მუტრუკო, ვირო?
შე შენ დაგძებ,

მაგრამ ვერ გნახე,
ვერსად ქუჩაში
ვერ დაგინახე.

პირ. ეშმაკი. (აღერსით)

უბედურება შემემთხვა ძმაო
ძლივს შევიჩინე ტანჯული სული,
უეჭველია ფეხს გავქიშავდი
რომ არ მქონოდა ჯიბეში ფული.

მეორე ეშ. (გულმტკაფუნუჯად)
რას ამბობ, კაცო, ჩქარა მითხარი
რამ აგიბნია ასე დავთარი?

პირე. ეშმ.

ერთ დღეს ქართული თეატრის წინა
ჩემთვის ვიდექი ჩაფიქრებული,
რას ვიფიქრებდი თუ იქვე იყვნენ
მსახიობები ჩასაფრებული.

აქეთ იქიდან ჩამქიდეს ხელი
და ჩამითრიეს იქვე „ბადვალში“.
ისე დამათვრეს წითელი ღვინით
აღარ მიჩანდა არავინ თვალში.
მას აქეთია სულ ყელი მტკივა
ხან შემახურებს და ხანა მცივა.

მერე ეშმ. (დად-სანს იგინის)
სასაცილოა შენი ამბავი
ღვინომ როგორა გაკტინა ყელი,
ღვინოს რაღა სჯობს წითლად შე-
ფერილს

როცა თან ახლავს პური და ყველი.
მადლობა ქვესკენელს გადარჩენილხარ
დამუნჯებული არ დარჩენილხარ.

პირე. ეშმ. აბა ახლი რამე მითხარი
თუ მოხდა რამე ამ ცოტა ხანში.

მეორე ეშმ.

ჯერ „ბადვლისკენ“ ჩავისეირნოთ
ვსკამოთ მსუქანი ნივრითა ხაში,

პირე. ეშმ.

თუ გიყვარდნ ჩქარა მითხარ
რიც ამბავი იცი ყველა.

მეორე ეშმ.

ერთათ რომ ვსთქვა სიცილისგან
აგიტყდებო მძიმე ხველა,
ჯერ დავნაყრდეთ, თან გადავკრათ,
შემდეგ „ლახტი“ ვინახულოთ
და მისი კულა მწერლები
მათრახებით შევახუროთ.

(შემდეგი იქნება).

მესამე ეშმაკი.

გამოცანა.

(ჯუნჯუათისათვის).

გამოცანას მოგახსენებთ
გამოსაცნობს ადვილსაო
ორფეხა ცხოველი არის
შობილია ავდლისაო
„ნასალდათარ ნასტრაქალი“
დღეს ამრევი სოფლისაო.
თვის თვალში დირეს ვერ ამჩნევს
ბეწვის მძებნელი სხვისაო.
ტრახახობა მეტი უყვარს
საქმე კი ნაკლებიაო
ამ ბოლო დროს ცოტა ხალხსა
გული შეაკლებიაო:
აირჩიეს და მიანდვეს
წყალზე ხიდის გაცეთება
რაც რომ „სმეტა“ შეადგინეს
ნახევარი არ ხმარდება.
ამბობენ რომ მან იჯიბა
ის და ცოტა მეტიცაო
ამდენ ნაჭირახულევი
იმავე დღეს ჩაიქცაო!
ძალით კაცის გაკაცება
არ ყოფილა ადვილიო
თუ მკითხველო გამოიცან
ამისრულდა წადილიო.

დ. ბარამიძე.

ღებულები.

გურიი. დაიწყო პარკის ვაჭრობა.
მყიდველები რიცხვით ბევრათ უფრო
სკარბობენ გამყიდველებს. საზოგადო-
დოთ პარკი ყველგან ძლიერ კარგი
აკეთეს, მაგრამ ერთი უცნაური თვი-
სება გამოაჩნდა: წამოიღებენ თუ
არა სოფლიდან სახლში გამოზომილს
და აწონილს მყიდველთან მიტანამდე
გზაში მამ გირვანქა სიმძიმე აკლდე-
ბა ფუთს. ეს აშკარა ხდება, როცა
პარკი მყიდველის სასწორზე დად-
ებული. ამ ამბვის გამო გამყიდველები
გაიფიცენ და მოითხოვენ მყიდველმ-
ბი სახლებში მივიდნენ გამყიდველებ-
თან და იქიდან წაიღონ პარკი.

გარგანა.

(არა მკითხეს საავენტრისაგან).

ს. ჩიზათი. არ გამართლდა ის
ხმები ვითომ, მწერალს მამასახლისი
წაებერტყოს.

არც ის არის მართალი ვითომც
ომახურის ვაჭრუკანებს მომხმარებე-
რი საერთო დუქნის მოახლოებით
ისინი ქარები აძვროდნენ. უბრალო
ოდის ციება სკირთ მხოლოდ, გა-
დატანა კი ექიმებმა საექვოთ ჩასთვა-
რეს.

სამკითხველოს გამგეობას შემდეგი
იხმარი უნახავს. ვითომ ყველა ჟურ-
ნალ-გაზეთები გამოეწეროთ, ვითომ
საბნეულ წიგნებშია თავი მოეყარონ
და ვითომ ჟურნალი „მათრახი“-ც
შიგ შეპაროდნენ. ამის გამო, შთაგო-
ნებაში, შთავარდნილან.

გამოჩენილი ქურდი—აფერისტი

ამ დღეებში გერმანიის მამებარმა
პოლიციამ დიდის დევნის შემდეგ
როგორც იქნა დაიჭირა გამოჩენილი
ქურდი—აფერისტი გელმერი.

გელმერის ხელობა იყო მდიდარ
სასტუმროებში და სწრაფ მატარებ-
ლებში ქურდობა. ამისთვის ის არა-
ფიქსარ საშვალეებს არ ზოგავდა.
სადაც როგორ მოუხდებოდა ისე
იქცეოდა და არავის ეჭვი არ შეს-
დიოდა, რომ მდიდარ და პატროსან
კაცონ ჰქონდა საქმე. უფრო ხში-
რად გელმერი ქალის მდიდარ ტან-
საცმელში ეწყობოდა, რომ გაეცნო
ვინმე მდიდარი, დაეწყო არსიყობა
და ბოლოს გაეძარცვა. ყველა ამის
ის ძლიერ ოსტატურად ასრულებდა.
ხშირად შედიოდა ის მატარებლის
კუბეში, სადაც მარტო ქალები იყ-
ვენ, გაუბამდა ლაპარაკს, ამ ლაპა-
რაკში რაც ხელსაყრელი იყო ააცი-
ნლავდა და არხენად გაუდგებოდა
გზას.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ
ძალიან კარგათ იცოდა მისი ნიშნე-
ბი, ჰქონდა სურათი, მას ყველგან
დაეძებდნენ, გელმერი მიინც არხენად
იყო და განაგრძობდა თავის საქმეს.
არ მომხდარა ისეთი რამ, რომ გელ-
მერს ვაჭივრებიდან ვერ დაეხწია თა-
ვი.

ბოლოს როგორც იქნა გერმანიის
პოლიციამ მოახერხა გელმერის ხელ-
ში ჩაგდება. გერმანიის გამოჩენილი

„მამებარმა“ (სიშჩიკი) დუშეკმა თვა-
ლი შეავლო გელმერს, როცა ის ქა-
ლის ტანისამოსში მორთული მატა-
რებელში ჯდებოდა. დუშეკი გაჰყვა
მას და თვალს არ აშორებდა. უცბად
მან შეამჩნია, რომ გელმერი ოქროს
ძეწვეს აქრის მის გვერდით მჯდომ
ქალს. დუშეკი უცბად მივარდა სწვდა



ქოჩორში და პარიკი ააგლიჯა. იქ
მსხდომ ქალებს კინალამ გული შე-
უწუბდათ, როცა ქალის მავიერ კა-
ცი აღმოჩნდა. გელმერმა რაკი შე-
ატყო რომ თავის დაჩწევა შეუძლე-
ბელი იყო დანებდა.



ქესტვირული

I

(სამტრედისათვის)

შენ ჩემო გულუნავ დაუკარ
დაუდილინე ნელაო
კარდაკარ დაეყვეთ ნაცნობებს
და ვინახულოთ ყველაო:

დიდი ხანია გველიან
სიჩუმე აწი კმარაო,
თორემ იტყვიან რიკაი
წავიდა გაიპარაო.

ჯერ ვინახულოთ ნიკოლოზ
შარაბიძისა მობილი,
მისი ჯიბისა ნუგეშად
მოწოდებული, ხმობილი.

უთხრათ შკოლისა მამაი,
არ უნდა გაიძვერაო,
ნორჩი თაობის ორგულმა
ხალხი სულ გადიმტერაო.

იგი რაც სხვაგან უქნია
ნიკოს აქ აღარ არგია,
თორემ ღმერთმანი სულ მალე
უნდა აიკრას ბარგია.

მერე ვესტუმროთ რაედენსა
სამტრედისა დოსტაქარს,
შევიტყოთ რაზე ვერ უვლის
სამკითხველოსა ის ქანქარს.

თავის ქება კატრათა ღირს
საქვეყნოთ ეს ნათქვამია,
პირი რად ეწვის ნეტაი
პილპილი თვარ უქამია?

კონდუქტორების უფროსსაც
მოუდილინოთ ნელაო,
ქრთამებსა თუ ჰკრებს სევეი
ასე იქცევა ყველაო.

მას რა აწუხებს რა უნდა
ნეტა რაზედა სტირისო,
ასე რამ გაათამამა
არ ეშინა სტვიროსო?

დაუდილინე ქამანჩავ
შენი ჰირიმე შენიო,
ნაცვალოვი და ბესოი
ქვეყნისა ამაშენიო,

კვლავ ვინახულოთ ერთხელა
და ვანუგეშოთ ჩვენაო,
მოღვაწეები მისთანა
ღმერთმა კი შეაჩვენაო.

უნდობლობაი მათ უკვე
გამოუცხადა ხალხმაო,
ლადო რათ ჯავრობ ან ბეროს
რად დაუღია ხახაო.

ესლა სჯობია გავჩუმდეთ
ჰირიმე სტვირო შენიო,
სხვებსა შემდეგში ვეახლოთ
არ დავერჩეს გულ-ნატკენიო.

II

ლექსები და შაირები
ესლა მომადგა პირსაო,
უნდა ვიწყო სიარული,
ხელში ავიღებ სტვირსაო
და მკითხველებს მოვახსენებ
სოფლით ვის რა უჭირსაო.

ზემო-ჩიბათში ავედი,
დავიარე სახლი ყველა,
შავრაზმელები ტირიან,
დამართნია ერთი ბელა:

მათი კერპი, მათი ღმერთი
ილიკუნა ქანტურია,
ჩიბათიდან დაითხოვეს
და ამოკრეს პანდურია.

ეს ის არის, ვინც „მათრახ“-ში
წინეთ იყო შექებული,
გასპარიანცის შევირდი
უსინდისო ფლიდი სული;

ვინც რომ ხალხი შეაწუხა
ჩაიღინა საქმე ქველი,
მეზობლები გადაჰკიდა
ააქოთა მთლა სოფელი.

სულ გამოჩნდა, რაც უქნია
საზიზღარი საქმე ყველა,
პალურის რტყმით მიაბრძანეს,
გაუჩინეს ბრაზი-ხველა.

მირბის, მირბის, უკან მისდევს
შავი ძალა, შავი ჯარი,
ხალხი ყვირის: არ გაუშვათ,
დაუშინეთ თავში სარი.

ამ ნაირათ გაისტუმრეს
ეს ბორაკი, საზიზღარი,
ხალხის ძალამ გაიმარჯვა,
ქეიფობა დიდი არი.

კვენდლი.

ღიღინი

ღიმიტრი აღმასხანაჩისა

(ქვედა-ძიმიითისათვის.)

მიკვირს აქამდე რომ ჩემზე
არვინ ამღერა სტვირია,
განა სხვა ვინმე მჯობია
ვერ შევირცხვინე ცხვირია?
როცა ძალ-ღონე შემწვედა
ვიყავ ყაჩაღთა გზირია,
დამტოვეს გაულექსავი
ეს ღიბ გასაკვირია.
ისევ მე დავაღიღინებ

აჰა დავალე პირია:

სამოცდა-ათი წლისა ვარ
ახმახი მოკაკულია,
ყმაწვილებს მაინც კი ვჯობვარ
ნუ წამიწყდება სულია,
მუსტი და კრივი ყვირილი
ხომ ჩემი გამოთქმულია,
ასე ვატარე ოთხამდე
ვასრულე განზრახულია,
ხალხი ვატყუე ოინით
მით შევიძინე ფულია.
ოთხში ხმა მესმა ერთობის
იმან დამიფსო ყურია,
მას მერე ჩემი ცხოვრება
გაფუჭდა უგემურია.

გული მაინც გავიმაგრე
შეგნებულებს დავემტერე,
მათი სახელი და გვარი
ისიღორეს ჩაუწერე.
სულ ყველა გადაასახლა
მოძრაობა შევაჩერე.

ა რვიცოდი, თურმე ამით
მთლად ქვეყანა ვადვიმტერე.

რომ გამიგეს სიბნელეში
დავძვრებოდი როგორც ქოტი,
გამრისხეს და მითავაზეს
წლინახევრის ბოიკოტი.

სიკვდილიც გადამიწყვიტეს,
მაგრამ რაკი მქონდა ბისტი,
ხელად თავი ვადვირჩინე
შევისყიდე ტერორისტი.

მერმედ ხალხი შევირიგე
მეც ერთობას ვიძახოდი,
ისიღორე აღარ მყავდა
ნიკოკისთან დავდიოდი
იმან კრილოვთან გამაცნო
ვუამბობდი რაც ვიცოდი,
მან ერთი ქალაღი მომცა
მე წაკითხვა არ ვიცოდი,
თურმე ის რომ არ მიეცა
მეც სხვებსავით დავიწოდი,
ჩემს მეზობლებს კარგს არ უქდენ,
მიხაროდა წინ ვაცოდი.

როცა დადგა რეაქცია
მოძრაობა დაქცია,
აღარაფრის მეშინოდა
დავიწყე პროვოკაცია.

ორათ ვაყვავი ძიმიით
ერთმანეთსა დავამტერე
იმ დროს სკოლებს აშენებდენ
საჩივრებით შევაჩერე.

ქვედა სკოლის შენობაზე
გავაძვეე მოკანდრაზე,
უტორგოთ და უპირობოთ
მე დავიწყე, ვიტრაბაზე.

ხალხს ზედ მეტი ავაწაპნე
ფულს დაუდგი ჩუმი მახე,
შენობა დავამახინჯე
ვინც წუნი სთქვა ის ვავლახე.

მზრუნველათ თავს ვიწოდებდი
ხალხმა აღარ ამიჩრია,
ვეღარც სხვაი დააყენეს,
მე მაინც არ წამიგია.
(სკოლის ოთხასი ქანქარი
მოხერხებით ამიღია).

მაგრამ ახლა კი დავმარცხდი
რომ ძიმიით ვერ ვაყვავი.
რომ ვამეყო ხომ ქვედაში
ვიქნებოდი ბატონ თავი,
ზედა ძიმიოლები არის
ანგარიშის მომკითხავი,
რაც შევექამე თუ ვაღამხდა
ხომ გამძრება ზუგზუდ ტყავი.
ველა-ც იმან რა მიშველა
პართენტანაც კი ვიყავი.

ძიმიოლებსა აქვს ერთობა
ყველა სკოლებზე სწორათა,
მე ყველა ზიზღით მიყურებს
და მივანჩივარ ღორათა.

ამხანაგებიც მომშორდენ
საიმედონი ვინც იყო,
შემრჩა დიმიტრი ივანიჩ
და თანაშემწე ტიტაკო.

ქვა-შურღულა.

სცენის-მოყვარენი

სცენა 1 მოქმედებათ.

(გულდენი ჭიათურის სცენის მოყვარეებს)
(იხ. „მათრახი“ № 22.)

II.

ვასილი და იასონ.

იასონი (პორფიელს უკანასკნელ ს
ტუეებს გაიგონებს და პორფიელე რ
მობრუნდება გამოსასვლელად, აასო
დაეტაკება შოფრადი და პორფიელე უძრ
მალა გადაყვარდება). რაო? რა სთქ
პადვლიო? პადვლი კი არა რე
ტორანში ვიყავი! არა, რათა სტყუ
შე ვირო შენა?!

პორფილე. კი ბატონო, რესტრ
დაცია იყოს, ამიზა მამტერევე მერე

შე კაცო, შავი ღვინო იქაც ქეა და ქაც.

იასონი (შეუტეეს). იმე! კილო ლაკობ!

ირფილე (გავრდება სწრაფად).

იასონი. ოჰ, გამარჯობა ვასილ, (ბარბაცებს) ცოტა მთვრალი ვარ, მარა ისე ვითამაშო, რომე მესხიშვილი სულ გავაფასო .

ვასილი. რა უყოთ, შე კაცო, რომ მთვრალი ხარ. შენი ბრალი კი არ არის. წვიმა ყოფილა და ცოტათი დასველებულხარ.

იასონი. ხო, ცოტა დასველდი, მარა მაინც იასონი ვარ.

ვასილი (გვერდზე). აი, ბატონებო, სულ ამ ყოფაში ვარ ამთვან (აიღებს ქუდს და გადაის).

III

იასონი შემდეგ **კოლია**.

იასონი. (ხვდება სვანძელში და თაყვანაურობს მღერის).

საყვარლის საფლავს ვეძებდი ვერ ვნახე დაკარგულიყო, გულ ამოსკვნილი ვსტიროდი სადა ხარ, ჩემო სულიკო... (ამ დროს შორიდან მოსმის კოლას საშფერს:) „მხოლოდ შენ ერთს“...

კოლია. (შეუხანდავდება ახსონს) აა, გამარჯობა იასონ! შენ ღღეს როგორღაც კარგ გუნებაზედა ხარ.

იასონ. ვარ, მაშ არა ვარ?! რა მიჭირს თუ რუმბებში შავი ღვინო არ გამოილია, შე არაფერი გამოჭირდება, არა კოლია, ხომ კარგია შავი ღვინო?

კოლია. არც თერთია დასაწუნი, მაგრამ სამავალითოა, ოხ! რა სამავალითოა ბარიშნებთან კატაობა... განსაკუთრებით, როცა ცხენს მიაქენებს, მიჭკროლავს როგორც ჩიტი და შენც როგორც ქორი ისე მიჭფრინამ ჰის უკან.

იასონი. ჰო, იგიც კაია როცა შენი ბარიშნა წამოვა ცხენიდან და როგორც კეტი დაერტობა კისრით ტალახში.

კოლია. არა, ჩემო იასონ, ღმერთმა დამიფაროს, რომ ბარიშნა ცხენიდან გადმოვივარდეს... მაშინ ერთ

წუთს თავს აღარ ვიკოცხლები რას ამბობ კაცო, ხომ დავილუპე და მომეჭრა თავი გამიტყდა სახელი.

იასონი. რას როშვ რა სახელი?

კოლია. ბიჭოს, სახელია მაშ რა არის, როცა ჰიესაში ცენტრალურ როლს თამაშობ? მთელი საზოგადოების ყურადღება შენსკენაა მოქცეული და, რასაკვირველია, განსაკუთრებით ბარიშნების!

იასონი. როცა პატარა როლი გაქვს მაშ ხელს არ გაძლევს, მაშინ არა?

კოლია. პატარა როლს თავის ღღეში არ ვითამაშებ. მერე ამ კვირაში მაინც... შენ წარმოიდგინე, ექვსი ბარიშნა დავპატიე ამ წარმოდგენისთვის! ხუმრობა ხომ არ არის, ახლა უნდა გამოვიჩინო თავი.

იასონი. ბიჭო და მერე შენი ჯამაგირი რას ეყოფა ბილეთების ფულს, შენ თუ ყოველ წარმოდგენაზე ექვსი ბარიშნა დაპატიე?

კოლია. ბილეთის ფული რათ მიწადა, კონტრამარკები ცოტაა უფასო.

იასონი. კარგი, თუ გინდა ერთი კონტრამარკა შენი, ხუთის ბილეთი ხომ უნდა იყილო?

კოლია. კაცო როგორ ლაპარაკობ? განა ცოტაა თავისუფალი სცენის მოყვარეები? ერთს იმას გამოვართმევ, მეორეს სხვას, მესამეს სხვას, მეოთხეს და მეხუთეს—მითომ იმათი ნათესავეები შედიან, ხმას ვინ გამკემს, ოღონდ რეჟისორის ხელმოწერილი იყოს.

იასონი. ყოჩაღ კოლია, ეგ კაი ხონური გცოდნია!

IV

იასონი, კოლია, ვახტანგი და მაშიკო, შემდეგ **ვასილი**.

ვახტანგი და მაშიკო. აა, გამარჯობათ თქვენნი!

იასონ და კოლია. ვაგვიმარჯოთ!

მაშიკო. (ვსტანჯს) არ გითხარი ჯერ ნუ წავალთ, ყველანი არ იქნებიან მეთქი?! (ამ დროს შემოდის ვასილი).

ვასილი. რა არის კაცო, ამდონს რომ მაკდევინებთ? აღრე მოდით,

რომ აღრე გავათავოთ რეპეტიციის არა სჯობიან?

კოლია. შე კაი ხანია აქა ვარ.

იასონი. მეც დროზედ მოველი, მაგრამ ის ოხერი ბოთლი ვერ დავცალე იმის ჯავრი ჩამყვა.

ვახტანგ. მე ცოტა დავიგვიანე, მაგრამ ჯერ ხომ მაინც არა ვართ ყველა.

მაშიკო. я всего на часъ опаздала, მაგრამ შე მაინც არ მიწოდდა წამოსვლა, ვიცოდი რომ ყველა არ იქნებოდით.

ვასილი. თითო მიზეზი არავის დაგეღვევათ! კარგი ბატონებო, საქმე დავიწყეთ.

კოლია. (ამთ ლაპარაკის დროს კულისებში უკანა ზღანზე „ატკოსს“ აჭედანს და თან დიდინებს;) „საფლავეშია აქაც იქაც“...

ვასილი. (კოლას) გეყოფა კოლია ჩხირკედლოობა, საქმე დავიწყეთ.

კოლია. (არ უჭყერებს ვასილს და კადეუ არახუნებს) შენთან ერთად, შენთან ერთად

ვასილი (გავაფრებუდა) ტფუ შე გარცხვინოს ღმერთმა.

კოლია. (დავადებს ჩაქუნს და მოფერებთ) კარგი, ჩემო ვასილ ნუ ჯაურობ. რა ჰიესას ვითამაშობთ?

ვასილი. (ცოტა ხნის შემდეგ) ჰიესა ადელია „ქულისა მჭირს“.

ვახტანგ. (რომელაც აქნამდის მამკოსთან იქდა დივანზე და თხილს აქნატუნებდა წამოდგება, შირა თხილით გამოტენილი აქვს). როლები როგორ არის განაწილებული?

მაშიკო. Да! роли какъ распределены? (თხილს აქნატუნებს).

ვასილი. როლებზედ მენდეთ ბატონო, შესაფერისად არის განაწილებული.

კოლია. მაინც?

ვასილი. მაშ წავიკითხავთ—ყური დაუგდეთ.

(შემდეგ იქნება)

გოგია.

ხმა ლაგა- სოფლოჟიდან

(სამაქაოს საზოგადოება.)

ს. მაიდანო. ასი წლის წინად აქ დაიწყო ეკლესიის შენება, მაგრამ შეჩერდნენ. ესლა ისევე გახსენებით და საქმეს შეუდგნენ, რადგან დამშეულ ხალხს უფრო ადვილათ შეუძლია ფულის ვადება. აქაური ახალგაზდობა ძალიან ვწვევა საზოგადო საქმეს ე. ი. კარტ ნარდის თამაშობას.

ს. სამიქაო. აქაურებს რომ ჰკითხოთ სამიქაო მაიდანზე წინ არისო გეტყვიან, მაგრამ რა მოსაზრებით ამბობენ ამას არ ვიცი. თუ მაიდანში ეკლესიის აშენება დაიწყეს და ვერ დაასრულეს სამიქაოში სამაგიეროთ სკოლის შენობის აგება დაიწყეს და ვერ დაასრულეს. თუ მაიდანში იქაური ახალგაზდობა საზოგადო მოღვაწეობით — კარტ-ნარდის თამაშით არის გატაცებული, აქაური ახალგაზდობაც არა ნაკლებ თამაშობს და იღწვის. თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქაურ ეკლესიაზე ორი მღვდელი არის და წირვის მაგიერ მუდამ ჩხუბობენ, ჩემის აზრით მაიდანის და სამიქაო ერთი მეორეს არ ჩამოუვარდება და ვერც ერთ მათგანს უპირატესობას ვერ მივანიჭებთ.

ს. გულიხეთი. არ ვიცი ვინ დაარქვა ამ სოფელს „გულიხეთი“, ხოლო ორი ასოც რომ მიემატებია „ს“ და „ქ“ ნამღვილი შესაფერი სახელი იქნებოდა „გულის ხეთი“. ავერ რამდენიმე წელიწადია აქაურებმა განიზრახეს სკოლის შენობის აგება, მაგრამ დღემდე არაფერია და ბავშვებს საში ვერსის სიშორიდან უხდებათ სიარული და ადვილათ მიხვდებით თუ რა გულის ხეთქას განიცადიან ისინი ამ მანძილის გავლის დროს.

ს. გეზათი. ყველაფრით კარგ მდგომარეობაში არიან აქაურები, მხოლოდ მასწავლებელი ქალი ვერ

ყავთ დინჯი და ეს ფრიად დიდ ცუდ გავლენას ახდენს ბავშვებზე, მათში ძლიერ გავრცელდა „სიტყე“.

ხანდრო.

ფოთი. ღმერთმა ყოველი კუთხე და ამ კუთხის მკხოვრებნი დაიფაროს იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ნახუტურელები იმყოფებიან. ყოველ კისმარე დღეს რევოლვიერების სროლა, ჩხუბი, ცემა და ლანძღვა-გინება ხდება ხან მეუნაგრე მეღუქნეს ზელს თავის ღუქნის წინ, ხან სო.მხგბ-ს ქუჩაზე სერგო იქაურობას აყრუებს. აღარ აქვთ მოსვენება. თუ გვიშველა ამ სიტყვებში, თორემ თქვენი მტერია აქედან უნდა ავიბარგოთ. ესლა საჩქაროდ ვწერ და შემდეგში ვეცდები ბევრი სამათრახო ამბავი გაცნობოთ.

ბ — ლი.

დ. ყვირილა.

ამ დღეებში აქ დაარსდა უმაღლესი კურსები. რის შესახებაც შემდეგი განცხადება გამოაკრეს: „გვქვს პატავი ვაუწყით პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ მოკლე ხანში დ. ყვირილაში გაიხსნა ახალი კურსები, სადაც ასწავლიან ტომობლოზე თამაშობას ე. ი. სიკინქილაზე. მსურველნი დროით უნდა ჩაეწერონ კურსებზე. მსმენელნი მიიღებიან მხოლოდ 1 ივლისამდე. კურსების თავუჯდომარე პროფესორი ილია მად — ძე. მას წავლგებელნი: პლატონ კიკნა — ძე, ზოსიმე ყუფა — ძე, იაკინთე გველ — ნი და გიორგი თორ — ძე.

ძირმავარა.

წერილები რედაქციას.

I

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ იუმორისტულ ჟურნალში ამ წერილს.

თქვენი ჟურნალის № 21-ში დასტამბულია „ბელას“ მიერ ჩემი შეურაცხყოფა, რის ღირსად თავი არ მიმაჩნია.

ესთხოვ ბ-ნ ბელას დღეიდან თუთხმეტი დღის განმავლობაში გამომეყვას სამედიკალრო სამართალში, დანიშნულ თავისი მედი-

ატორები და დამიმტიკოს თავის ნაფქვირ მე ჩემის მხრით მედიკატორებად ვასახლებ (რაკლი კუჩინას და ბესარიონ მითა წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ხსენებთ).
პარკი

ჩოჩხაიის საზ. მამასახლისი კ. ებგერძე.

ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ზემოთ სენებული „ბელას“ წერილი ჩოჩხაიის მამასახლისის ბ-ნ ებგერძის მოქმედებას აკნებდა. ის დაწერილია მამასახლისის კვაკაძეზე, რომლის გვირის გამოცხადება არ მოვისურვეთ თავის დროზე და ბოდიშს მოვითხოვთ თუ მით სხვა პირს მივაყენებ უსიამოვნება.

„მათრახის“ რედაქცია.

II.

ბ-ნო რედაქტორი № 14 ჟურ. „მათრახში“ მოთავსებული წერილის გამო გამოვიწვი მე ბ. შანთი სამედიკატორო სამართალში № 21-ში ის მოითხოვს ჩემგან თუ ვინ მომანდო მე ბ. შანთის გამოწვევა.

ვინაიდან მისი წერილით შეურაცხვა პარკის ქუჩის ყველა მკხოვრები და მარტივში მეც, ამისთვის მოვითხოვ კერძოდ ბ. შანთიდან ან გამომეყვას სამედიკატორო სამართალში ან უკან წაიღოს თავის სიტყვები.

ვანილ გეორგივიჩ ხარაბაძე.

„მათრახი“-ს ფოსტა.

ქ ი ა თ უ რ ა. — წყალ-ფინანს პირებს დაუყავნებლივ გეცნობეთ ვინა ბრძანდებით. სანამ თქვენ ვინაობას არ შეგვატყობინებთ ისე ვერაფერს დავიბეჭდებთ.



ორ-თავიანი ბავშვი.

ეს ორ-თავიანი ბავშვი დაებადა ქვლეხის ქალს ნოვგოროდის მაზრაში, სოფლისკარში. საოცარია ბუნება.

რედაქტ-გამომც. თ. ბოლქვაძე.